

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32 ტელ/ფაქსი: (0422) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ზოგადი განათლების დაწესებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების მაგისტრი	
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 300 ECTS კრედიტს. მათ შორის: - ზოგადი განათლების დაწესებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მეთოდური სასწავლო კურსები - 195 კრედიტი (მათ შორის სპეციალობის სავალდებულო კურსები - 180 კრედიტი, სპეციალობის არჩევითი მოდული - 15 კრედიტი); - სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდული - 60 კრედიტი (მათ შორის პრაქტიკა - 30 კრედიტი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - 30 კრედიტი); - თავისუფალი კომპონენტების მოდული - 45 კრედიტი (მათ შორის სავალდებულო არჩევითი - 35 კრედიტი და თავისუფალი არჩევითი - 10 კრედიტი)	
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>პროგრამის მიზანია მოამზადოს როგორც I-IV კლასების საგანთა ჯგუფის (ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება), ასევე I-VI კლასების ქართულის, მათემატიკის ან ბუნებისმეტყველების მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულებების პრინციპების მატარებელი მასწავლებელი, რომელიც შეძლებს მოსწავლეთათვის არა მარტო მაღალი ხარისხის ცოდნის გადაცემას, არამედ ცვალებადი პროფესიული გარემოს გაცნობიერებას და თავის პროფესიულ საქმიანობაში გათვალისწინებას. პროგრამის ფარგლებში მომზადებულ კურსდამთავრებულს ექნება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული კომპეტენციები - თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ღირებულებები, უფროსი მასწავლებლის ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულების საშუალება, შეძლებს შესაბამისი მეთოდების გამოყენებით პედაგოგიური სიტუაციის/ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზს, პრობლემის მიზეზების, შედეგების, ურთიერთკავშირის გაცნობიერებასა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღებას, დარგობრივი ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით წერით და ზეპირ კომუნიკაციას, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული პროგრამების გამოყენებას, პროფესიულ განვითარებას და სხვ.</p> <p>პროგრამის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაცია უთანაბრდება მაგისტრის ხარისხს. შესაბამისად, მათ უფლება ექნებათ მიღებული კვალიფიკაციით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, იმუშაონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, I-IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივი ჯგუფისა და დამატებით - V-VI კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის ან ბუნებისმეტყველების მასწავლებლად; კურსდამთავრებული, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სკოლის გარდა დასაქმებას შეძლებს სხვა საფეხურის/ტიპის სახელმწიფო, არასამთავრობო, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სტრუქტურებში.</p> <p>კურსდამთავრებულებს შეეძლებათ უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურაში) სწავლის გაგრძელება, საზოგადოებრივ თუ პროფესიულ საქმიანობაში თავისი შესაძლებლობების რეალიზება და კარიერული წინსვლა.</p>	
სწავლის შედეგები	N	ცოდნა-გააზრება
	კომპეტენციის სფერო - პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება	პრაქტიკული/სხვ. უნარები
	1.	<p>იგნობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების ძირითად პრინციპებს;</p> <p>იგნობს როგორ შექმნას ფიზიკური, სოციალურ-ემოციური და კოგნიტიური გარემო და როგორ აამალოს მოსწავლეთა მოტივაცია;</p> <p>იგნობს მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით როგორ შექმნას ინკლუზიური, სწავლისა და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო.</p> <p>შეუძლია შექმნას დადებითი სასწავლო გარემო მოსწავლეების ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, მათი კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით და ხელი შეუწყოს კლასში თითოეული მოსწავლის ინტეგრაციას და მათ მოტივაციას;</p> <p>შეუძლია უსაფრთხო, თავისუფალი სასწავლო გარემოს შექმნა თითოეული მოსწავლის პიროვნული, სოციალურ-ემოციური და კოგნიტიური განვითარებისთვის;</p> <p>შეუძლია სსსმ მოსწავლეების ინტეგრირება სასწავლო გარემოში სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე.</p>

2.	<p>იგის კლასის მართვისა და კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ეფექტიანი სტრატეგიები.</p>	<p>შეუძლია კლასის მართვა, კონფლიქტების გამოწვევი მიზეზების გაანალიზება და ადეკვატური რეაგირება;</p> <p>შეუძლია მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან, თემთან ეფექტური კომუნიკაცია კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარებისათვის;</p> <p>შეუძლია მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებით, მათი ინდივიდუალური განსხვავებების გათვალისწინებით.</p>
3.	<p>იგის სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობი ძირითადი ფაქტორები და აცნობიერებს თანამშრომლობითი გარემოს მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლასწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.</p>	<p>შეუძლია მოსწავლეებთან, კოლეგებთან, თემთან ეფექტური კომუნიკაცია და საქმიანი თანამშრომლობა;</p> <p>შეუძლია შშობელთა (სხვა კანონიერ წარმომადგენელთა) ჩართულობის ხელშეწყობა მოსწავლეთა გააზრებულად სწავლებისთვის.</p>
<p>დამოკიდებულებები და დირეზულებები: აცნობიერებს განათლების ინკლუზიურობისა და მოსწავლეთა მოტივაციის მნიშვნელობას პოზიტიური, უსაფრთხო/კონფლიქტებისაგან თავისუფალი სასწავლო გარემოს შექმნისთვის: აცნობიერებს მოსწავლეებთან, კოლეგებთან, თემთან თანამშრომლობის მნიშვნელობას უსაფრთხო (ფიზიკური, სოციალური და ემოციური) სასწავლო გარემოს ფორმირებისთვის.</p>		
<p>კომპეტენციის სფერო - მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება</p> <p>სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა</p>		
1.	<p>იგნობს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;</p> <p>იგნობს განათლების სისტემის სტრუქტურას, მიზნებს და მასწავლებლის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებს;</p> <p>იგნობს ეროვნულ სასწავლო გეგმას, ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივ სტანდარტებს;</p> <p>იგნობს ბავშვის განვითარების ასაკობრივ თავისებურებებს;</p> <p>იგის დაწყებით კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდები, გზები და საშუალებები;</p> <p>იგის ზოგადი განათლების ჩარჩო-დოკუმენტზე დაყრდნობით მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა.</p>	<p>შეუძლია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტებისა და მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შემუშავება;</p> <p>შეუძლია გაკვეთილის დაგეგმვა ყველა კომპონენტისა და მათ შორის კავშირების გათვალისწინებით;</p> <p>შეუძლია გაკვეთილის დაგეგმვისას შიდასაგნობრივი და საგანთაშორისი კავშირების გათვალისწინება;</p> <p>შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით, შეუძლია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.</p> <p>შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.</p>
2.	<p>იგის საგანმანათლებლო ბეჭდური და ICT რესურსების მოძიება, შექმნა და სასწავლო პროცესში მიზნობრივად გამოყენება</p>	<p>შეუძლია მოძიოს, შეარჩიოს, შექმნას და გამოიყენოს დამხმარე რესურსები და ICT ტექნოლოგიები სასწავლო გეგმის მიზნებისა და კონკრეტული კლასის მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით; შეუძლია მოსწავლეებში ციფრული მოქალაქეობის უნარების განვითარება.</p>
3.	<p>იგის პიროვნების განვითარებისა და განათლების ძირითადი თეორიები, აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის და წარმართვისას.</p>	<p>შეუძლია პიროვნების, განვითარებისა და განათლების თეორიების ცოდნის ეფექტიანად გამოყენება სასწავლო პროცესში;</p> <p>შეუძლია მოტივაციის ამაღლების სტრატეგიების ეფექტიანად შერჩევა მოსწავლეთა ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით.</p>
4.	<p>იგნობს მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ძირითად მიდგომებს.</p>	<p>შეუძლია მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობა მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.</p>

	<p>5. იცის სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული სტრატეგიები და მათი გამოყენების პერსპექტივები;</p>	<p>შეუძლია მიზნობრივად გამოიყენოს სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი სტრატეგიები.</p>
	<p>6. იცის მდგრადი განვითარების მიზნები და პრინციპები;</p> <p>აცნობიერებს მდგრადი განვითარების პრინციპების სწავლების მნიშვნელობას პიროვნების ჩამოყალიბებაში, სოციალური და ბუნებრივი გარემოსადმი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდაში.</p>	<p>სწავლების პროცესში შეუძლია მდგრადი განვითარების პრინციპების სასწავლო თემებში ინტეგრირება.</p>
	<p>7. აცნობიერებს კლასგარეშე საქმიანობის როლსა და მნიშვნელობას მოსწავლეთა მოტივაციის, სწავლის და მრავალმხრივი განვითარების ხელშესაწყობად.</p>	<p>შეუძლია კლასგარეშე საქმიანობების (საკლუბო, საწრეო, სასწავლო და სოციალური პროექტების) დაგეგმვა მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.</p>
<p>2.2. სასწავლო პროცესის შეფასება</p>		
	<p>8. იცის მოსწავლის შეფასება (მ. შ. სსმ მოსწავლის) ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში;</p> <p>იცის შეფასების ტიპები, პრინციპები და მეთოდები;</p> <p>იცის როგორ გააანალიზოს შეფასების შედეგები.</p>	<p>შეუძლია მოსწავლეთა შეფასების მეთოდების მიზნობრივი გამოყენება თითოეული მათგანის მიღწევისა და პროგრესის შესაფასებლად;</p> <p>შეუძლია განმავითარებელი შეფასების ეფექტიანად გამოყენება თითოეული მოსწავლის კოგნიტიური და პიროვნული განვითარებისთვის.</p>
	<p>9. იცის შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და რუბრიკების შედგენის ძირითადი პრინციპები.</p>	<p>შეუძლია შეფასების სქემებისა და რუბრიკების შედგენა, მათზე დაყრდნობით მოსწავლეთა ობიექტური შეფასება.</p>
<p>დამოკიდებულებები და დირექტორები: აცნობიერებს, რომ ზოგადი განათლების ჩარჩო-დოკუმენტები და განათლების მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნა მისი პედაგოგიური საქმიანობის ამოსავალია: მისთვის მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლე, როგორც პიროვნება. სწავს, რომ დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს როგორც მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას, მის პიროვნულ და კოგნიტურ განვითარებას, ასევე მათ ინტეგრაციას სასკოლო საზოგადოებაში.</p>		
<p>კომპეტენციის სფერო - პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა</p>		
	<p>1. იცის პროფესიული განვითარების ძირითადი ფორმები და გზები.</p>	<p>თვითშეფასების, კოლეგებისაგან, დირექციისაგან, მოსწავლეებისაგან, შშობლებისაგან მიღებული უკუკავშირისა და მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კომპლექსური, თანმიმდევრული და კრიტიკული ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და პროფესიული განვითარების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.</p>
	<p>2. იცნობს განათლების მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციებსა და კვლევებს.</p>	<p>აქვს უნარი, მოიძიოს და გამოიყენოს განათლების მეცნიერებაში ახალი ცოდნა, ტენდენციები და თანამედროვე კვლევები საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სასკოლო პრაქტიკის სრულყოფისთვის.</p>
	<p>3. იცნობს განათლების მეცნიერების კვლევის მეთოდებს და მათი გამოყენების შესაძლებლობებს.</p>	<p>შეუძლია კვლევების დაგეგმვა, შესაბამისი ინსტრუმენტების შექმნა/მოძიება, განხორციელება ან/და მოსწავლეების კვლევით პროექტები ჩართვა.</p>
	<p>4. იცის პრაქტიკის კვლევის სპეციფიკა, წარმართვის თავისებურებები და აცნობიერებს კვლევის შედეგების გამოყენების მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.</p>	<p>სასკოლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეუძლია პრობლემის/საჭიროების იდენტიფიცირება, ანალიზი, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და მათი ეფექტიანობის შეფასება.</p>
<p>დამოკიდებულებები და დირექტორები: ორიენტირებულია უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე. სხვადასხვა გზით სიახლეების ათვისებასა და პრაქტიკაში მათ დანერგვაზე; აცნობიერებს კვლევაზე დაფუძნებული სასკოლო პრაქტიკის სრულყოფის მნიშვნელობას.</p>		
<p>შეფასების წესი</p>	<p>ცალკეულ სასწავლო დისციპლინაში სტუდენტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, რეიტინგული შეფასებისა და გამოცდის შედეგების ჯამით. საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით: A, B, C, D, E, FX, F.</p> <p>A – ფრიადი 91-100 ქულა; B – ძალიანარგი 81-90 ქულა; C – კარგი 71-80 ქულა; D – დამაკმაყოფილებელი 61-70 ქულა; E – საკმარისი 51-60 ქულა;</p>	

	<p>FX – ვერ ჩააბარა 41-50 ქულა. სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>F – ჩაიჭრა 0-40 ქულა. სტუდენტს საგანი თავიდან აქვს გასავლელი.</p>
საკონტაქტო პირი	<p>ნანა მკარაძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი</p> <p>საკონტაქტო ინფორმაცია:</p> <p>ტელეფონი: (+995) 593 60 60 71</p> <p>ელ. ფოსტა: nmakaradze@bsu.edu.ge</p>